ევროპის საბჭო

კონკურსი ცხადდება პროექტის, „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“, ფარგლებში

განმცხადებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

პროექტის სახელწოდება: „ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“

განხორციელების პერიოდი: 04. 2023. - 09. 2023.

პროექტის ბიუჯეტი: 19875.45 ლარი;

პროექტის მიზანი - რეპატრირებულ მესხთა ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება კარგი მმართველობის განვითარებითა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობით.

კონკრეტული ამოცანები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში აქტიური მონაწილეობა;
- თანაცხოვრების პირობების გაუმჯობესება სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ზრდა;

დაგეგმილი საქმიანობები:

აქტივობა 1: სამუშაო ჯგუფის შექმნა;

აქტივობა 2: ტრენინგ პროგრამების ორგანიზება: “კვლევის მეთოდები“; “მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი მექანიზმები”;

აქტივობა 3: საჭიროებების კვლევა, ანალიზი;

აქტივობა 4: სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

Activity 5: გასვლითი საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა – შეხვედრების მიზანია ბენეფიციარებისთვის მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ადგილზე მიწოდება;

Activity 6: პროექტის საინფორმაციო საქმიანობა;

Activity 7: მხარდამჭერი საქმიანობები - 1. წარმატებული ფერმერების, მეწარმეების და ტურისული ლოკაციების მონახულება; 2. გამწვანების აქციის ორგანიზება; 3. კულინარიის მასტერკლასი-გურული, აჭარული და მესხური სამზარეულო.

<u>სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები:</u>

- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში მცხოვრები რეპატრირებული მესხები;
- ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის მუსლიმი თემი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებს პროექტით დაგეგმილ საქმიანობებში;

<u>მოსალოდნელი შედეგები:</u>

- გაზრდილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მონაწილეობის ხარისხი;
- გაუმჯობესებულია თანაცხოვრების პირობები სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის;
- გაზრდლია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- გაზრდილია ეკონომიკური ინტეგრაციის დონე;